რეფლექსია

რესურსი- ჩინეთის ავტოპორტრეტი

რესურსი შექმნილია მე-7 კლასის მოსწავლეებისათვის

რესურსის ავტორი- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნათელა მაჭარაშვილი

მე-7 კლასის სასწავლო პროგრამა ყველაზე დიდ სირთულეს ქმნის იმ მიზეზის გამო, რომ მოსწავლეებს უწევთ სახემძღვანელოს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ინფორმაციის ათვისება, რომლის დამახსოვრება და ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახვა მათ ძალიან უჭირთ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე პროგრამის ადაპტირება-მორგება ერთი მხრივ, მოსწავლეთა საჭიროებებზე, მეორე მხრივ კი იოლად აღქმადი მინდოდა გამეხადა აქ განთავსებული ინფორმაცია.

მიზანი-მოსწავლეები კონკრეტულ რესურსებზე დაყრდნობით შეეცდებიან ინფორმაციის ამოცნობას და შექმნიან კონკრეტული ქვეყნის ავტოპორტრეტს.

ისტ.VII.1. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან;

ისტ.VII.2.მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა ქვეყნის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისა და გეოგრაფიული ობიექტის მდებარება რუკაზე;

ისტ.VII.4.მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში;

ისტ.VII.9.მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს რელიგიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებასა და მსოფლიო ისტორიულ პროცესებში;

ისტ.VII.10.მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კულტურის შემადგენელ ნაწილებზე;

ჩემ მიერ შექმნილი რესურსით სამიზნე ჯგუფის თავისებურება მოსწავლეთა თავისებურება ნამდვილად გათვალისწინებულია, რადგან ის იოლად აღქმადია.

ინსტრუქცია:

-მოსწავლეებს ვთხოვე შეექმნათ თავიანთი ავტოპორტრეტი;

- შემდეგ მოსწავლეებს წარვუდგინე კონტურული რუკა, სადაც ჩინეთი მკვეთრი ფერით იყო შემოსაზღვრული და მოსწავლეებს უნდა ამოეცნოთ ქვეყანა, რომლის ავტოპორტრეტი უნდა შეექმნათ. თუ ვერ ამოიცნობდნენ,დამატებით ინფორმაციას მივაწვდიდი დამხმარე სურათების - მდინარეების, კონკრეტული წიგნის, ნაგებობებისა თუ პორტრეტების მეშვეობით, შემდეგ კი უნდა შეექმნათ ამოცნობილი ქვეყნის ავტოპორტრეტი შემდეგი კითხვარებზე პასუხის გაცემით :

-ჩემი სახელი-

-ტერიტორიის სიდიდე-

-მდებარეობა-

-ისტორიის დაწყება-

-ჩემი დიდი მდინარეები-

-ჩემი ენა-

-საწერი მასალა-

-გამოგონებები-

-პირველი ქაღალდის ვალუტა-

-პირველი ბანკები-

-საბრძოლო ხელოვნება-

-სტუმრის მიღების ტრადიცია-

-რელიგია-

-ფესტივალები-

-ყველაზე პოპულარული სპორტი-

-ცნობილი ფილოსოფოსები-

-მითოლოგია-

-ჩემი გამაერთიანებელი-

-ჩემი საყრდენი კედელი-

-ჩინეთის ავტოპორტრეტის შექმნის შემდეგ მოსწავლეებმა თავიანთი პასუხები უნდა გადაამოწმონ ჩემს პრეზეტაციაში დაფიქსირებულ პასუხებზე დაყრდნობით.

ვფიქრობ, რომ ზემოთ მოყვანილ კითხვარებზე სათანადო პასუხის დაფიქსირება სავსებით საკმარისია ამ კონკრეტულ ქვეყანაზე ცოდნის მისაღებად ანუ შეიქმნება ქვეყნის ავტოპორტრეტი.შემდეგ მოსწავლეთა მიერ დაფიქსირებული პასუხების გადამოწმებით კიდევ უფრო გამყარდება მათი ცოდნა ამ ქვეყნის შესახებ.

ეს რესურსი შეიძლება გამოიყენონ როგორც ისტორიის, ასევე გეოგრაფიის მასწავლებლებმა შესაბამის თემასთან დაკავშირებით ან ასეთი ავტოპორტრეტი შეიძლება სხვა ქვეყნის მიმართ

გამოიყენონ. მოდიფიცირებული სახით ქართულის მასწავლებლებმაც შეიძლება გამოიყენონ კონკრეტული გმირის ავტოპორტრეტისა თუ კონკრეტული მწერლის შესახებ, რა თქმა უნდა, შესაბამისი კითხვარით.ასე ლაკონურად მოხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის ათვისება.

მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობდნენ და , შესაბამისად,აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

ამ რესურსმა ხელი შეუწყო შემდეგი უნარების განვითარებას:

-ინფორმაციის ამოცნობის;

-ფაქტებისა და მოვლენების შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან დაკავშირების;

-პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე მსჯელობის ;

-კითხვარებზე პასუხის დაფიქსირების;

-ინფორმაციის შედარების ;

-კონკრეტული პროდუქტის შექმნის;

ამ რესურსის გამოყენების დროს პრობლემა არ დაფიქსირებულა.

ამ რესურსის გამოყენებამ მაჩვენა, რომ თუნდაც ელემენტარული სიახლის შეტანით გაკვეთილზე შესაძლებელია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა , კონკრეტული ცოდნის შეძენა და საბოლოო პროდუქტის შექმნა.

რესურსის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:

https://docs.google.com/presentation/d/e/2PACX-1vQegs9sdo_1yqlrAUoxXDZ8I7yPVam3O_nMUbbnz8ito1n7lk7OtMHBwQtFm5-1HgceH1Cs3Ra_buWM/embed?start=false&loop=false&delayms=3000